




ქონების დაზღვევის პირობები

TERMS AND CONDITIONS OF
PROPERTY INSURANCE

WWW.UNISON.GE



ჩვენ ვზრუნავთ ყველაფერზე, რაც შენთვის მნიშვნელოვანია
WE TAKE CARE OF EVERYTHING THAT'S IMPORTANT TO YOU

დეპონირებული
ხელშეკრულების #260592350

ქონების დაზღვევის პირობები

წინამდებარე პირობები ძალაშია მზღვეველის მიერ გაცემულ სადაზღვევო პოლისთან ერთად, რომელშიც ასახულია შეძენილი პროდუქტის მახასიათებლები და სხვა სპეციალური დათქმები. სადაზღვევო პოლისის გარეშე წინამდებარე პირობებს იურიდიული ძალა არ გააჩნია. ამასთან, დაზღვევის განაცხადს, წინამდებარე პირობებსა და სადაზღვევო პოლისს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სადაზღვევო პოლისს.

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
1	ხელშეკრულების მხარეები:	მზღვეველი: სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ (ს/ნ 404393152) დამზღვევი: ფიზიკური პირი, რომელმაც დადო წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან და რომელსაც ეკისრება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება, გააჩნია დაზღვეული ობიექტის შენარჩუნების ინტერესი და რომელიც სადაზღვევო პოლისში მითითებულია როგორც დამზღვევი.
2	ხელშეკრულების საგანი	წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ, მზღვეველის ვალდებულება, აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანი, წინამდებარე პირობებითა და სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული წესის და ოდენობის შესაბამისად
3	ტერმინთა განმარტება	დაზღვეული: ფიზიკური პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა; მოსარგებლე: ანაზღაურების მიღებაზე პოლისით

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
3	ტერმინთა განმარტება	პოლისით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში უნდა გააჩნდეს დაზღვევის ობიექტის მიმართ ფინანსური ინტერესი; სადაზღვევო პოლისი (პოლისი): მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ქონების დაზღვევის პირობების განუყოფელ ნაწილს; დაზღვევის ობიექტი: სადაზღვევო პოლისსა და განაცხადში მითითებული ქონება, რომელიც წარმოადგენს დამზღვევის საკუთრებას ან მართლობიერი მფლობელობის საგანს; სადაზღვევო რისკი: სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა; სადაზღვევო შემთხვევა: წინამდებარე პირობებით/პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკების გარეგანი (ფიზიკური) ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ფაქტობრივი ზიანი, რომელიც წარმოშობს მზღვეველის მხრიდან სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებას; სადაზღვევო პერიოდი: სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია; დაზღვევის ტერიტორია: სადაზღვევო პოლისში მითითებული ტერიტორია, რომლის ფარგლებში მოქმედებს დაზღვევა; მესამე პირი - ფიზიკური პირი, რომელიც არ წარმოადგენს დამზღვევს, მოსარგებლეს, დამქირავებელს ან მათი ოჯახის

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
3	ტერმინთა განმარტება	წევრს. ოჯახის წევრი: დედა, მამა, მეუღლე, და, ძმა, შვილი, გერი, დაზღვეულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირი. სადაზღვევო განაცხადი: მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის მიერ შესავსები/შევსებული კითხვარი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დასაზღვევი ობიექტის, მახასიათებლების, რისკზე გავლენის ფაქტორების, დასაზღვევი ქონების დანიშნულების, ბარალიანობის ისტორიის შესახებ და ა.შ. განაცხადი ივსება სადაზღვევო პოლისის გაცემამდე და წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების დადების აუცილებელ წინაპირობას; შემთხვევის განაცხადი: შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა დამზღვევის მიერ მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით შესავსები/შევსებული წერილობითი განაცხადი; მესაკუთრე: დაზღვეული ქონების მესაკუთრე, რომელიც ამავე დროს შეიძლება იყოს დამზღვევი, მოსარგებლე. დამქირავებელი: ფიზიკური/იურიდიული პირი, რომელსაც გაფორმებული აქვს ქირავნობა ხელშეკრულება დაზღვეული ქონების მესაკუთრესთან (იგულისხმება წერილობითი ხელშეკრულება). საბაზრო ღირებულება: დაზღვეული ობიექტის იდენტური ან მსგავსი ქონების, სარეალიზაციო ღირებულება, რომელიც დგინდება ბაზარზე დადებული გარიგების საფუძველზე.

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
3	ტერმინთა განმარტება	აღდგენითი ღირებულება: დაზღვეული ქონების დაზიანებამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად საჭირო თანხა, რომელიც მოიცავს სარემონტო სამუშაოებს (მასალის, ტრანსპორტირებისა და სერვისის ჩათვლით), სათანადო ნაწილებს, ნებისმიერ სხვა დანახარჯს, რომელიც აუცილებელია უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად. აღდგენითი ღირებულება არ მოიცავს დამატებით დანახარჯებს, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ქონების რაიმე სახით ცვლილებით ან გაუმჯობესებით; სადაზღვევო თანხა: არაუმეტეს დაზღვეული ობიექტის საბაზრო ღირებულების, მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი მიხედვით და რომელიც მცირდება გაცემული ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით; წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტები დაზღვევის ობიექტის მახასიათებლების მიხედვით განასაზღვრული წინამდებარე პირობების დანართი #1-ით. პროპორციული დაზღვევა: დაზღვევა, როდესაც მზღვეველი აანაზღაურებს ზიანის ნაწილს იმ პროპორციით რა პროპორციაც იარსებებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, სადაზღვევო თანხასა და ქონების საბაზრო ღირებულებას შორის; ფრანშიზა: ზარალის ნაწილი, რომელიც მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებას არ ექვემდებარება; სადაზღვევო პრემია (პრემია): დაზღვევის საფასური, რომლის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია სადაზღვევო პოლისში;

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
3	ტერმინთა განმარტება	გამომუშავებული სადაზღვევო პრემია: სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისთვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა; გამომუშავებული სადაზღვევო პრემია: სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისთვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა; ქონების სრული განადგურება: დაზღვევის ობიექტი ითვლება განადგურებულად (სრული დაზიანება), თუ ქონების აღდგენითი ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების 85%-ს ან მეტს შეადგენს ან დაზიანებულია ქონების 85% ან მეტი; სადაზღვევო ანაზღაურება: თანხა, ქონება ან მომსახურება, რომელსაც მზღვეველი უხდის დამზღვევს ან მოსარგებლეს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად; სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილ პირზე, რომელსაც გააჩნია სადაზღვევოინტერესი დაზღვევის ობიექტის მიმართ. მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობა: მესაკუთრეზე დაკისრებული სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირის ქონებრივი ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია დატბორვით, ხანძრით ან აფეთქებით. ორმაგი დაზღვევა: თუ დაზღვეული, დაზღვევის

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
3	ტერმინთა განმარტება	ამ სახეობაში წარმოადგენს სხვა, ერთი ან რამდენიმე სადაზღვევო კომპანიის მოსარგებლეს, მაშინ ზარალი ანაზღაურდება მზღვეველებს შორის სოლიდარულად, რაშიც სს სადაზღვევო კომპანია უნისონი მონაწილეობას მიიღებს მისი პასუხისმგებლობის მოცულობის პროპორციულად, იმ დაშვებით, რომ საერთო სადაზღვევო ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს ფაქტობრივ ფინანსურ ზიანს; ხელშეკრულების თავსართი: დოკუმენტი, რომელიც წინ უსწრებს ხელშეკრულების ყველა სხვა დებულებას, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მასში აღნიშნულია ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები; საინფორმაციო ფურცელი: სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზების ეტაპზე სადაზღვევო მომსახურების მიღების განზრახვის მქონე ფიზიკური პირი მომხმარებლისთვის სავალდებულოდ მისაწოდებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მითითებას სადაზღვევო პროდუქტის პირობების შესახებ; დისტანციურად დადებული ხელშეკრულება: დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის დადება განხორციელდა მზღვეველსა და დამზღვევს შორის, მზღვეველის მიერ ორგანიზებული ერთი ან რამდენიმე დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით.
4	სადაზღვევო დაფარვა	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
5	სადაზღვევო რისკები	დაზღვეული რისკები (თუკი აღნიშნულს პოლისი ითვალისწინებს):

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
5	სადაზღვევო რისკები	5.1. ხანძარი - იგულისხმება დამოუკიდებლად გავრცელების უნარის მქონე ცეცხლი, რომელიც თავისით ვრცელდება ცეცხლის დანთებისათვის განკუთვნილი ადგილის ფარგლებს გარეთ; ხანძრის შედეგად დამგარი ზიანისას, სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება - დაზღვეული ქონების განადგურება ან დაზიანება დამდგარი თავისი ბუნებრივი ფერმენტაციით ან გათბობით ან/და თავისი მიმდინარე პროცესებით რომელშიც შედის სითბოს გამოყენება; ასევე ხანძარი გამოწვეული მიწისძვრის ან მიწისქვეშა ცეცხლის მოქმედებით. ხანძრის შემთხვევაში სადაზღვევო დაფარვა ძალაშია ხანძრის დაწყებიდან 48 საათის განმავლობაში. 5.2. მეხის დაცემა - ბუნებრივი ელექტრონული განმუხტვა 5.3. აფეთქება - აირის ან ორთქლის წნევის ძალის უეცარი და დამანგრეველი გამოვლინება. განადგურება ან აფეთქება ბოილერის, ეკონომიზერის, ან სხვა ხომალდის, მანქანა-დანადგარის, ან აპარატურის, რომელშიც ორთქლის შედეგად არის შიდა წნევა, და ექვემდებარება დამზღვევის/დაზღვეულის კონტროლს; 5.4. მიწისძვრა - წინამდებარე დაზღვევით დაიფარება მიწისძვრა და მიწისქვეშა ცეცხლის მოქმედება პირდაპირ რეგისტრირებული მიწისძვრის ბიძგით, პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეული რეგისტრირებული მიწისძვრის დარტყმით. მიწისძვრის შემთხვევაში სადაზღვევო დაფარვა ძალაშია მიწისძვრის დაწყებიდან 72 საათის განმავლობაში. შენიშვნა: მიწისძვრა და მიწისქვეშა ცეცხლის მოქმედების შედეგად დამგარი ზიანისას, სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება სახელმწიფოს,

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
5	სადაზღვევო რისკები	შემთხვევად არ განიხილება სახელმწიფოს, მუნიციპალური ან ადგილობრივი ორგანოს მიერ გამიზნული განადგურებით გამოწვეული ყველანაირი შედეგობრივი ზარალი ან დანაკარგი. აირის ან ორთქლის წნევის ძალის უეცარი და დამანგრეველი გამოვლინება. 5.5. ზარალი გამოწვეული მეზობელი ფართიდან წყლის შემოდნევით 5.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად წარმოებული სარემონტო სამუშაოების პერიოდში ბინის ქირის ხარჯების ანაზღაურება. თუკი იზღვევა გაქირავებული ქონება; (მაქსიმალური ანაზღაურების პერიოდი - 3 თვე); 5.7. შტორმი, ქარიშხალი, გრიგალი ზიანი ან დანაკარგი გამოწვეული პირდაპირ შტორმის, ქარიშხალის და/ან გრიგალის შედეგად. ქარიშხალი განისაზღვრება როგორც ძალიან ძლიერი ქარი, რომლის სიჩქარე მიწის ზედაპირიდან 25 მ/წ აღემატება. ქარიშხალს შეესაბამება შტორმი (9 ბალი ბოფორტის სკალით) და გრიგალი (12 ბალი) სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება: ა) სადრენაჟო სისტემების არასწორი შენახვით ან/და ექსპლუატაციით დამდგარი ზიანი ან განადგურება; ბ) ქარით გამოწვეული ან მის გარეშე წვიმით დამდგარი ზიანი ან განადგურება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზღვეული შენობის ან ქონების სახურავი ან კედლები ჯერ დაზიანდება შტორმის, ქარიშხალის ან გრიგალის შედეგად, და მხოლოდ ამის შემდეგ

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
5	სადაზღვევო რისკები	წარმოიქმნება მზღვევლის პასუხისმგებლობა იმ ბარალზე, რომელიც მიადგა დაზღვეულ ქონებას შტორმის, ქარიშხალის ან გრიგალის უშუალო ზემოქმედებით დაზიანებული ქერიდან ან კედლებიდან წვიმის შეღწევით; გ) შენობაზე ან მის შიგთავსზე დამდგარი ზიანი ან დანაკარგი, თუ ასეთი ზიანის ან დანაკარგის დადგომის მომენტისათვის შენობა იყო უკვე დაზიანებული, დეფექტურ მდგომარეობაში, დაცემული ან იყო გადაადგილებული, რაც ასევე შეეხება საძირკველს, კედლებს, ქერს, სახურავს, წყალსაწრეტს, სახურავზე დამონტაჟებულ ფანჯრებს; დ) სახელმწიფო ან საჯარო დაწესებულების განკარგულებით ან მოქმედებით ან ამდაგვარის შედეგად დამდგარი ზიანი ან დანაკარგი; შტორმი, ქარიშხალი, გრიგალის, შემთხვევაში სადაზღვევო დაფარვა ძალაშია შტორმი, ქარიშხალი, გრიგალის დაწყებიდან 72 საათის განმავლობაში. 5.8. წყალდიდობა - ნიშნავს დაზღვეულ ობიექტში წყლის შეღწევას გარედან, ისეთი ზედაპირის დატბორვის შედეგად, რომელიც ჩვეულებრივ არ არის დაფარული წყლით და გამოწვეულია: არაჩვეულებრივად მაღალი ტალღით, ტაიფუნით, ქარიშხლით, გრიგალით ან ციკლონით, მდინარეების, რეზერვუარების, არხების და ა.შ. გადმოდინებით ან გახეთქვით. წყალდიდობის შემთხვევაში სადაზღვევო დაფარვა ძალაშია წყალდიდობის დაწყებიდან 168 საათის განმავლობაში. 5.9. სეტყვა - ატმოსფერული ნალექი, რომელიც შედგება ყინულის სხვადასხვა ზომის ნაწილაკებისაგან.

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
5	სადაზღვევო რისკები	5.10. წყალდიდობა და/ან სეტყვის შედეგად დამდგარი ზიანისას სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება: ა) სადრენაჟო სისტემის არასწორი შენახვის ან არასწორი სარგებლობის შედეგად დამდგარი ზიანი ან დანაკარგი; ბ) ზიანი ან დანაკარგი დამდგარი ღია ადგილას მდებარე შემდეგი სახის ქონებაზე: საქონელი მდებარე ღია ადგილზე, დრენაჟებზე, წყლის გაყვანილობებზე, ზღვრულ კედლებზე, ბალის კედლებზე, საყრდენ კედლებზე, ჭიშკრებზე, ბოძებზე, ღობეებზე, სატრანსპორტო გზებზე, სასიარულო ბილიკებსა და დაშენებებზე; გ) ზარალი ან დანაკარგი გამონვეული ქვაბებიდან, მილებიდან და სხვა წყლის აპარატურიდან წყლის გადმოდინებით, გახეთქვით ან გამოჟონვით. ზარალი ან დანაკარგი გამონვეული წყალსაწრეტებიდან ან დაკიდებული მილებიდან წყლის გადმოდინებით ან სახელმწიფო ან მუნიციპალური ჭაბურღილების გახეთქვით ან გადმოდინებით. ზარალი ან დანაკარგი გამონვეული წყლის გაჟონვით, გამოსვლით ან შეღწევით სარდაფის კედლებში, მათ შორის კარებში, ფანჯრებში, და სხვა ღია ადგილებში, საძირკვლებში, მიწისქვეშა სართულებში და ბილიკებში, ან წყლით რომელიც გამოვიდა კანალიზაციის მილებიდან, სადრენაჟო მილებიდან: უხვი წყლით მიყენებული ზიანი ან დანაკარგი თუ პირდაპირ წყალდიდობის შედეგად არ არის დამდგარი; დ) სახელმწიფოს ან სახელისუფლებო ორგანოს განკარგულებით ან ამდაგვარის შედეგად დამდგარი ზიანი ან დანაკარგი;

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
5	სადაზღვევო რისკები	ე) ნებისმიერი სახის არაპირდაპირი ზიანი. 5.11. წყალგაყვანილობის და სადრენაჟო სისტემიდან გამონადენი წყლით დაზიანება; 5.12. წყლის, ზეთის ან ნავთობის ქვაბებიდან ან მილებიდან ამოხეთქვა ან გამოჟონვა სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება შემთხვევები რომელიც შედეგია ექსლუატაციის ვადის გასვლის ან აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ დამდგარი ზიანის, დაზღვეულ შენობებზე ჩატარებული შეკეთების სამუშაოების ან არსებული სამშენებლო დეფექტების, ან ცვლილებების სპრინკლერების სიტემების შეკეთების , ამოღების ან გაფართოების, 5.13. მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება - რომელიც მიმართულია დაზღვეული ქონების დაზიანების ან განადგურებისაკენ, ამასთან დაზღვევას არ ექვემდებარება ზარალი, რომელიც გამოწვეულია აჯანყების, გაფიცვის, სამოქალაქო მღელვარებისა და ლოკაუტით დათხოვნილი მუშაკების ქმედების შედეგად. 5.14. ქურდობა ან ამდაგვარის მცდელობა, ძარცვა, ყაჩაღობა - დაზღვევა ფარავს დაზღვეულ შენობაში მხოლოდ შემდეგი სახის ძალისმიერი შესვლის ან დაზღვეული შენობიდან გამოსვლის შემთხვევებს: პირის ან პირების დაზღვეული შენობის გარედან ბოროტმოქმედულად, ძალით შეღწევა, და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ასეთი ძალისმიერი შეღწევის ვიზუალური კვალი არის დატოვებული ხელსაწყოების, აფეთქების, ელექტროენერგიის ან ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით ან დაზღვეული შენობის ექსტერიერს ზიანი მიადგა შეღწევის ან/და გასვლის ადგილას. დაზღვეულის ან დაზღვეულის დაქირავებული პირის

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
5	სადაზღვევო რისკები	დაშინების, მუქარის ან მის მიმართ ძალადობის გამოყენების შედეგად ან ამასთან დაკავშირებით დაზღვეული ნივთების წართმევა. წინამდებარე დაზღვევა არ ფარავს ზიანს ან დანაკარგს, რომელიც მიადგა - ეზოში ან ღია ცის ქვეშ მდებარე ქონებას; მინას; დამონტაჟებულ საგნებს ან არმატურას; იმ ქონებას, რომელიც არ ეკუთვნის დამზღვევს ან ეს უკანასკნელი არ არის მასზე იურიდიულად პასუხისმგებელი; შენიშვნა: კონკრეტული სადაზღვევო რისკები და დაფარვები მითითებულია სადაზღვევო პოლისში
6	დამატებითი დაფარვები (სადაზღვევო პოლისით ასეთის არსებობის შემთხვევაში)	დამატებითი დაფარვები: 6.1. დამქირავებლის მიერ დაქირავებული ქონების დაზიანება. 6.2. მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობა. შენიშვნა: დამატებითი დაფარვების შესახებ სურვილი დამზღვევის მიერ გამოხატული უნდა იყოს შესაბამის განაცხადში აღნიშვნის გზით.
7	დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება	7.1 დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისთვის სავალდებულოა სადაზღვევო განაცხადის შევსება; 7.2 იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის შეძენა ხორციელდება ვებგვერდის საშუალებით, მომხმარებლის მიერ ელექტრონულ ფორმაში შევსებული ველები და დაფიქსირებული პასუხები წარმოადგენს სადაზღვევო განაცხადს, რომლის საფუძველზეც ფორმდება სადაზღვევო პოლისი. 7.3. სადაზღვევო პოლისი გაიცემა დამზღვევის მიერ შევსებული სადაზღვევო განაცხადის საფუძველზე; 7.4 ნებისმიერი დაზიანება,

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
7	დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება	საფუძველზე; 7.4 ნებისმიერი დაზიანება, რომელიც დაზღვევის მომენტში გააჩნია დაზღვევის ობიექტს, უნდა დაფიქსირდეს სადაზღვევო განაცხადში. 7.5 სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზების ეტაპზე სადაზღვევო მომსახურების მიღების განზრახვის მქონე ფიზიკურ პირზე სავალდებულოდ გაიცემა საინფორმაციო ფურცელი, ხელშეკრულების თავსართი; 7.6 დაზღვევის ხელშეკრულების დადება ხორციელდა მზღვეველსა და დამზღვევს შორის მატერიალურად, ან დისტანციურად მზღვეველის მიერ ორგანიზებული ერთი ან რამდენიმე დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით; 7.7 მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ან/ და სხვა ნებისმიერი დოკუმენტის ხელმოწერა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, შესაბამის ბმულზე დადასტურების გზით, მათ შორის, პლატფორმის Signify (https://signifyapp.com/ka-GE/ მეშვეობით. აღნიშნული წესით გაფორმებულ ხელშეკრულებებს აქვთ იგივე იურიდიული ძალა, რაც ხელმოწერას ქაღალდის მატარებელზე ხელით შესრულების შემთხვევაში; 7.8. მზღვეველის მიერ ელექტრონული ხელმოწერით ან ელექტრონული ბეჭდით დამოწმებული და გაცემული სადაზღვევო პოლისი ორიგინალის ტოლფასია, ასევე დამზღვევის მიერ მზღვეველთან ელექტრონული კომუნიკაციით განხორციელებული თანხმობა დაზღვევის პირობებზე დამზღვევის ხელმოწერის ტოლფასია. სადაზღვევო პოლისისა და

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
7	დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება	შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია მოხდეს მატერიალურად წერილობითი ფორმით, ამასთანავე მზღვეველის unison.ge-თ დასრულებულ ნებისმიერ კორპორატიულ მეილზე - დასტური ხელმოწერის ტოლფასია. 7.9 მზღვეველის მიერ სადაზღვევო პოლისის გაცემა ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას; 7.10 მზღვეველის მიერ სადაზღვევო პოლისის გაცემა ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას; 7.11 გაქირავებული ქონების დაზღვევის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ იმ პირობით, რომ ქონება დამქირავებელს გადაცემულია სარგებლობის უფლებით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც თან ერთვის გადაცემული ქონების დეტალური წერილობითი ჩამონათვალი და მისი მდგომარეობის აღწერა (მითითებით, რა ქონება და რა მდგომარეობაში გადაეცა დამქირავებელს დაქირავების მომენტში) ამასთანავე, აღნიშნული ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს წერილობით ფორმაში გაფორმებულ მოქმედ ქირავნობის ხელშეკრულებას.
8	სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წინაპირობები	8.1 სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა არაუმეტეს ზიანის ოდენობისა და სადაზღვევო თანხის ფარგლებში, თუ დაცულია შემდეგი პირობები: 8.1.1 ადგილი არ აქვს წინამდებარე პირობებით

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
8	სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წინაპირობები	გათვალისწინებულ რომელიმე საგამონაკლისო შემთხვევას. 8.2. სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული რისკების დადგომის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება გაცივმა: 8.2.1. შიდა მოპირკეთება, მათ შორის: კედლების საფარი; ქერი; იატაკი; კარები; ფანჯრები. 8.2.2. შიგთავსი, მათ შორის: საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი - დანართი №1-ში მითითებული ჩამონათვალის და ლიმიტების შესაბამისად.
9	დაზღვევას არ ექვემდებარება	9.1. ფული (ნაღდი ან უნაღდო ფორმით არსებული თანხები), ქვითრები, მარკები, აქციები, ობლიგაციები, სხვა ფასიანი ქაღალდები, საკრედიტო ბარათები, უნიკალური ან ექსკლუზიური ნივთები; იშვიათი წიგნები, ხელოვნების ნიმუშები და ფოტო მასალები; ძვირფასი ქვები და ძვირფასი ლითონის ნაკეთობები, ანტიკვარიადი, ბეწვეული, საკოლექციო ერთეულები, მათ შორის მონეტები, მოდელები, მაკეტები, სურათი/ტილო და ნებისმიერი ლიმიტირებული გამოშვების ან შეზღუდული ტირაჟის მქონე ობიექტები. 9.2. მინდობით მიღებული/გაცემული ქონება, დოკუმენტები, მანუსკრიპტები, საქმიანი წიგნები, კომპიუტერული სისტემები, ჩანაწერები, ნახაზები, არქიტექტურული სქემები, ფორმები, ყალიბები, გეგმები, დიზაინერული ნიმუშები და სხვა მსგავსი. 9.3. კომპიუტერისა და სხვა სახის ანალოგიურ სისტემებში საინფორმაციო საშუალებები (მაგნიტური ბლოკი, მაგნიტური ლენტა, საინფორმაციო ბლოკი და სხვა) და

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
9	დაზღვევას არ ექვემდებარება	ინფორმაციის სხვა მატარებლები; 9.4. გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები 9.5. ცხოველები, მსხვილფეხა რქოსანი, წმინდა სისხლის ცხოველები, შინაური ფრინველი/ცხოველი; 9.6. მხატვრულად დამუშავებული მინები; 9.7. სარემონტო მასალები, ან რემონტის პროცესში მყოფი ქონება 9.8. მიწა (მათ შორის ნიადაგის ზედაპირი, სადრენაჟო არხი, წყლის გამტარი მილი) გზა, ტროტუარი, ბილიკები, ასევე არხები, ჭაბურღილი, ჭები, მილსადენები, მიწისქვეშა ქონება; 9.9. ავარიულად აღიარებულ შენობაში განთავსებული ქონება ან ავარიული შენობა; 9.10. ნარგავები, მარცვლოვანი კულტურები; 9.11. ფეთქებადი ნივთიერებები, საბრძოლო მასალა და სარეზინო იარაღები; 9.12. კვების ანძები, ანტენები, ღია ელექტრო მავთულები, ტენტები და შენობა ნაგებობების გარეთ მდებარე ნებისმიერი სხვა ქონება (მათ შორის გარე ფასადზე განთავსებული/დამონტაჟებული); აღნიშნული არ ეხება შენობა-ნაგებობის გარეთ დამონტაჟებულ გათბობა -გაგრილების სისტემას; 9.13. კვების პროდუქტები; 9.14. ქონება, რომელიც არ გამოიყენება

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
9	დაზღვევას არ ექვემდებარება	9.14. ქონება, რომელიც არ გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის, მათ შორის,, ავტოფარეხი, ფარდული, საცურაო აუზი, ბაღი, ღობეები, ჭიშკარი, სამეურნეო ნაგებობა ან ნებისმიერი ნაგებობა, რომელიც არ არის განკუთვნილი საცხოვრებლად; მეზობლებთან საერთო სარგებლობაში არსებული ქონება; 9.15. შენობა, რომლის ასაკიც აღემატება 1955 წელს, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რომლის ასაკიც აღემატება რვა წელს და ასევე შენობაში განთავსებული ქონება, რომლის ასაკიც 55 წელს აღემატება. 9.16. ქონება რომელიც არ ეკუთვნის მესაკუთრეს (მათ შორის შესანახად მიბარებული ქონება) 9.17. ბინის რემონტი და შიდა მოპირკეთება მიწის ზედაპირიდან 40 სმ სიმაღლემდე ბინებში; 9.18. საცხოვრებელი და სააგარაკე სახლები; ბინები/სახლები იტალიურ ეზოში; 9.19. შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული ნაწილები - მზიდი კონსტრუქციები, კედლები, ტიხრები, 9.20. სახურავი, აივნები (გარდა დახურული აივნებისა და ვერანდებისა); და გარე მოპირკეთება; შენობის გარე ფასადზე დამონტაჟებული / განთავსებული ქონება (მათ შორის ტენტები, საწრეტი მიწები); 9.21. გარე საინჟინრო მოწყობილობები - სანიტარულ-ტექნიკური და გასათბობი მოწყობილობები,

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
9	დაზღვევას არ ექვემდებარება	9.14. ქონება, რომელიც არ გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის, მათ შორის,, ავტოფარეხი, ფარდული, საცურაო აუზი, ბაღი, ღობეები, ჭიშკარი, სამეურნეო ნაგებობა ან ნებისმიერი ნაგებობა, რომელიც არ არის განკუთვნილი საცხოვრებლად; მეზობლებთან საერთო სარგებლობაში არსებული ქონება; 9.15. შენობა, რომლის ასაკიც აღემატება 1955 წელს, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რომლის ასაკიც აღემატება რვა წელს და ასევე შენობაში განთავსებული ქონება, რომლის ასაკიც 55 წელს აღემატება. 9.16. ქონება რომელიც არ ეკუთვნის მესაკუთრეს (მათ შორის შესანახად მიბარებული ქონება) 9.17. ბინის რემონტი და შიდა მოპირკეთება მიწის ზედაპირიდან 40 სმ სიმაღლემდე ბინებში; 9.18. საცხოვრებელი და სააგარაკე სახლები; ბინები/სახლები იტალიურ ეზოში; 9.19. შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული ნაწილები - მზიდი კონსტრუქციები, კედლები, ტიხრები, 9.20. სახურავი, აივნები (გარდა დახურული აივნებისა და ვერანდებისა); და გარე მოპირკეთება; შენობის გარე ფასადზე დამონტაჟებული / განთავსებული ქონება (მათ შორის ტენტები, საწრეთი მიწები); 9.21. გარე საინჟინრო მოწყობილობები - სანიტარულ-ტექნიკური და გასათბობი მოწყობილობები,

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
9	დაზღვევას არ ექვემდებარება	9.22. საკომუნიკაციო საშუალებები; ბოილერები; საქვაბები; სატელევიზიო, სატელეფონო და კომპიუტერის კაბელები; ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები და დაცვის სიგნალიზაცია; წყლის, გარე საკანალიზაციო, სავენტილაციო, გათბობის სისტემები (გარდა კონსტრუქციულ ელემენტებზე მუდმივად მიმაგრებული დამზღვევის/დაზღვეულის კუთვნილი საქვაბე და გამაგრებული სისტემებისა), გაზგაყვანილობა;
10	გამონაკლისები	სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა, თუ ზიანი ან დანაკარგი გამოწვეულია ან უკავშირდება შემდეგ გარემოებებს: 10.1. დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის მიწოდებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია არის არასწორი, არაზუსტი, ყალბი ან შეცდომაში შემყვანი; 10.2. დამზღვევს არ აქვს სრულად და ჭეროვნად შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები; 10.3. სადაზღვევო პრემია (ერთჯერადი ან მორიგი) არ არის გადახდილი დადგენილ ვადაში; 10.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი. 10.5. შემთხვევა არ მომხდარა პოლისით განსაზღვრულ პერიოდში; 10.6. ზიანი არ არის გამოწვეული პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკის ხდომილებით;

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
10	გამონაკლისები	10.7. ზიანის გამომწვევი მიზეზი ან თავად ზიანი არსებობდა დაზღვევის დაწყებამდე; 10.8. ზიანის მიზეზის დადგენა შეუძლებელია ან შემთხვევა მოხდა დაუდგენელ ვითარებაში; 10.9. სადაზღვევო ლიმიტი ამოწურულია. 10.10. ზიანი გამოწვეულია ცვეთით, ამორტიზაციით, კოროზიით, ეროზიით, დეფორმაციით, ნალექების დაგროვებით, დანესტიანებით ან სხვა ბუნებრივი პროცესებით; 10.11. ქონება იყო დაზიანებული ან დეფექტური (მათ შორის: საძირკველი, კედლები, სახურავი და სხვ.); 10.12. ზიანი გამოწვეულია არასწორი პროექტირებით, უხარისხო მშენებლობით ან საინჟინრო დეფექტით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამშენებლო ნორმების დაუცველობით; 10.13. ადგილი აქვს ბუნებრივ ბზარებს, ნიადაგის მოძრაობას ან ეროზიას; 10.14. თვითააღება, ფერმენტაცია, შიდა გათბობის ან მსგავსი პროცესები. 10.15. ზიანი გამოწვეულია სისტემების (წყალი, ელექტროობა, გათბობა და სხვ.) არასწორი ექსპლუატაციით, მონტაჟით ან მოვლით; 10.16. ტექნიკური გაუმართაობით, მოკლე ჩართვით ან მექანიკური დაზიანებით გამოწვეული ზიანი; 10.17. დანადგარების (მათ შორის ბოილერის)

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
10	გამონაკლისები	შიდა წნევით გამოწვეული ავარია/აფეთქება; 10.18. ელექტროენერგიის ცვალებადობით გამოწვეული დაზიანება. 10.19.ნალექის (წვიმა, თოვლი, სეტყვა) შეღწევა ღია ფანჯრებიდან, კარებიდან ან ღიობიდან; 10.20.წყლის შეღწევა ღია სივრციდან ან ღია ფართის (მათ შორის აივანი, აივანზე განთავსებული ქონება) დაზიანება; 10.21.საერთო სარგებლობის სისტემებიდან (მიწები, ჭაბურღილები და სხვ.) წყლის გაჟონვა/გადმოძინება; 10.22.მავნებლების, ცხოველების ან ფრინველების მიერ მიყენებული ზიანი. 10.23.ზიანი გამოწვეულია ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის ქმედებით; 10.24.განზრახი ქმედება, უხეში გაუფრთხილებლობა დამზღვევის ,დაზღვეულის, მოსარგებლის, დამქირავებლის (გარდა დაუდევარი ქმედებისა) ან მათი ოჯახის წევრის ან სხვა პირის მხრიდან; მათ შორის, პროფესიული საქმიანობის შედეგად მიყენებული ზიანი; 10.25.ქურდობა ღია სივრციდან. 10.26. ომი, ტერორიზმი, აჯანყება, რევოლუცია, გაფიცვა ან მსგავსი მოვლენები; 10.27.სახელმწიფო ორგანოს გადანაცვტილება (კონფისკაცია, რეკვიზიცია და სხვ.);

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
10	გამონაკლისები	(კონფისკაცია, რეკვიზიცია და სხვ.); 10.28. რადიაცია, რადიოაქტიური ან სხვა საშიში ნივთიერებები. 10.29. სამშენებლო, სარემონტო ან სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში დამდგარი ზიანი; 10.30. ობიექტის 30 დღეზე მეტი ხნით მიტოვება (თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული); 10.31. ზარალი, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელი იყო, მაგრამ არ იქნა მიღებული შესაბამისი ზომები; 10.32. ხარჯები, რომლებიც არ წარმოადგენს უშუალო მატერიალურ ზიანს (მათ შორის: კონსულტანტები, ნარჩენების გატანა და სხვ.); 10.33. პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემების დაკარგვა/აღდგენა; 10.34. არაპირდაპირი ზიანი, მიუღებელი შემოსავალი, ჯარიმები და მორალური ზიანი 10.35. მწარმოებლის დეფექტით ან გარანტიით დაფარული შემთხვევები; 10.36. ობიექტის ქირავნობასთან დაკავშირებული ზიანი, თუ დამატებითი დაფარვა არ არის გათვალისწინებული;
11	სადაზღვევო ანაზღაურების დაანგარიშების წესი	11.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმას განსაზღვრავს მზღვეველი - ფულადი სახით, ქონებრივი ან მომსახურების სახით.

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
11	სადაზღვევო ანაზღაურების დაანგარიშების წესი	11.2. სადაზღვევო ანაზღაურების დაანგარიშება მოხდება, პოლისით დადგენილი მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს რეალური ზარალის ოდენობისა, პროპორციული დაზღვევის მეთოდის გამოყენების, ფრანშიზისა და ასევე გადასახდელი პრემიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადარჩენილი ქონების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლების გათვალისწინებით; 11.3. ანაზღაურების მიმღებ პირად ითვლება მოსარგებლე, მაგრამ იმ პირობით თუ დამდგარი ზიანის პირობებში მოსარგებლემ განიცადა ფინანსური ზარალი და დასტურდება დაზღვევის ობიექტის მიმართ მისი ფინანსური ინტერესი. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა, ხოლო ასეთი პოლისი ექვემდებარება გაუქმებას. 11.4. ქონების დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ოდენობა განისაზღვრება მზღვეველის მიერ ან მის მიერ შერჩეული ექსპერტის მიერ შედგენილი კალკულაციის საფუძველზე. 11.5. მზღვეველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ზარალის ანაზღაურება განახორციელოს ასევე დამზღვევის მიერ წარმოდგენილი კალკულაციის საფუძველზე, მისი კორექტირებით ბაზარზე არსებული ფასების შესაბამისად. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა არაუმეტეს დაზღვეული ქონების აღდგენითი ღირებულებისა და პოლისით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
12	სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წესი	12.1. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მას შემდეგ, რაც მოხდება: 12.1.1. შემთხვევის სადაზღვევო შემთხვევად დაკვალიფიცირება; 12.1.2. სადაზღვევო შემთხვევის ფაქტისა და ზიანის ოდენობის დადგენა; 12.1.3. ანაზღაურების ფორმისა და ოდენობის განსაზღვრა; 12.1.4. დადგინდება, რომ დამზღვევს არ ერიცხება სადაზღვევო პრემიის დავალიანება. 12.2. მზღვეველი უფლებას იტოვებს, გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადანაცვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით დამზღვევის (მოსარგებლის) ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.
13	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	13.1. დამზღვევი ვალდებულია: 13.1.1. ხელშეკრულების გაფორმებამდე, განაცხადის ფორმით მიაწოდოს მზღვეველს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია დასაზღვევი ქონების შესახებ. გააცნოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს რისკის შეფასებისათვის, წარმოუდგინოს მზღვეველს ნებისმიერი სხვა მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
13	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	ჰქონდეს რისკის ხარისხის შეფასებისა და შესაძლო ზარალის მოცულობის განსაზღვრისთვის. 13.1.2. დაზღვევის მოქმედების განმავლობაში დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მზღვეველს ისეთი გარემოებების დადგომის შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს რისკის ხარისხზე. მათ შორის მიაწოდოს მზღვეველს ინფორმაცია მოწოდებულ დოკუმენტაციაში/მონაცემებში/ინფორმაციაში ცვლილებების შესახებ, ცვლილებების განხორციელებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა. 13.1.3. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ვადაში; 13.1.4. ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში აცნობოს მზღვეველს დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოს სხვა მზღვეველების ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. 13.1.5. დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია წერილობით მომართოს მზღვეველს, ზეპირად ან სატელეფონო შეტყობინებით გამოხატული სურვილი არ იქნება დაზღვევის გაუქმების საფუძველი. 13.1.6. როგორც პოლისის მიღებამდე, ისე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში შეატყობინოს მზღვეველს უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც გავლენა აქვს რისკის ხარისხის შეფასებაზე/შემდგომ ცვლილებაზე;

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
13	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	13.1.7. გადაიხადოს პირგასამტეხლო მზღვეველის მიერ დადგენილ ვადებში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. 13.2. შემთხვევის დადგომის შემდეგ დამზღვევი ვალდებულია: 13.2.1. შემთხვევის მოხდენისთანავე დაუყოვნებლივ დატოვოს შეტყობინება მზღვეველის ცხელ ხაზზე - 032 2 991 991, აღნიშნული ატარებს მხოლოდ საინფორმაციო ხასიათს და მზღვეველი უფლებამოსილია მოქმედება დაიწყოს მხოლოდ დამზღვევისგან წერილობითი განაცხადის მიღების შემდეგ; დამზღვევის მხრიდან დაგვიანებული შეტყობინება კრიტიკულად აისახება მზღვეველის ინტერესებზე შემდეგი გარემოებების გამო: • მტკიცებულებათა მოპოვება შეუძლებელი ხდება; • მზღვეველს არ ეძლევა საშუალება ადგილზე შეაფასოს დაზიანებული ან დაკარგული ქონება, შეაგროვოს ფოტომასალა, ჩაატაროს ექსპერტიზა და მოიპოვოს სხვა აუცილებელი მტკიცებულებები; • სუბროგაციის კანონით/ხელშეკრულებით მზღვეველისთვის მინიჭებული უფლება იზღუდება; • მზღვეველს ერთმევა შესაძლებლობა დროულად მიიღოს ზომები დაზღვევის საგნის

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
13	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	საგნის გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად; • მზღვეველი ვერ ახდენს ხელშეკრულებით დადგენილი გამონაკლისების იდენტიფიცირებას; 13.2.2 დაუყოვნებლივ აცნობოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს - 112; 13.2.3 შემთხვევის დადგომისას შეინარჩუნოს დაზიანებული/განადგურებული ქონების მდგომარეობა, მზღვეველისგან შესაბამისი მითითების მიღებამდე. 13.2.4 მიიღოს ყველა გონივრული ზომა სადაზღვევო შემთხვევის დროს ზარალის შემცირების ან დაზღვეული ქონების გადარჩენის მიზნით; სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით დამზღვევის მიერ გასაღები ყველა ხარჯი წინასწარ უნდა იქნას შეთანხმებული მზღვეველთან წერილობითი სახით, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს ასეთი ხარჯების ანაზღაურებაზე. 13.2.5 მზღვეველთან შეთანხმების გარეშე არ დაინყოს ქონების დემონტაჟი/შეკეთება/აღდგენა; 13.2.6 შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა გააკეთოს წერილობითი განაცხადი შემთხვევის თაობაზე, დამზღვევის მიერ ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა მოახდენდა თუ არა აღნიშნულ ვადებში წერილობითი განაცხადის

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
13	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	გაკეთება, შემთხვევის შეფასებასა და დაკავშირებული გარემოებების კვლევაზე, ზიანის ოდენობაზე გავლენას, მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს ზარალის ანაზღაურებაზე; 13.2.7 შეატყობინოს მზღვეველს დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის წესის, გამოყენების სპეციფიკის ცვლილების, გაქირავების, გასხვისების, ადგილმონაცვლეობის და ან დაზღვეულ რისკებზე გავლენის ნებისმიერი გარემო ფაქტორის ცვლილების თაობაზე; 13.2.8 დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს მზღვეველს პოლისში მითითებულ მისამართებზე (ფიზიკური მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, E-mail) ნებისმიერი ცვლილება. შეტყობინება უნდა შეიცავდეს ახალი რეკვიზიტების სრულ და ზუსტ მონაცემებს. ამ წესის დაუცველობის შემთხვევაში შეტყობინება ითვლება მიღებულად პოლისის პირობების შესაბამისად, მიუხედავად მისამართის ცვლილებისა. 13.2.9. თავისი ხარჯით უზრუნველყოს დაზიანებული ქონების შენახვა იმ დრომდე, სანამმზღვეველი არ მიიღებს გადანყვეტილებას ანაზღაურების თაობაზე; 13.2.10. სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შემდეგ, აუცილებლად შეაკეთოს/აღადგინოს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ქონება. სრული განადგურების შემდეგად გადარჩენილი ქონება გადასცეს მზღვეველს საკუთრებაში. გადაფორმების ხარჯებს დაფარავს დამზღვევი;

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
13	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	13.2.11. რეგრესული მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, გადასცეს მზღვეველს ყველა მასთან არსებული დოკუმენტი და ხელი შეუწყოს მზღვეველს სუბროგაციის უფლების რეალიზებაში. 13.3. დამზღვევი ვალდებულია შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წარუდგინოს მზღვეველს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია: 13.3.1. წერილობითი განაცხადი შემთხვევის მოხდენის თაობაზე; 13.3.2. სადაზღვევო პოლისი; 13.3.3. ქონების საკუთრების, ფლობის დამადასტურებელი მოქმედი დოკუმენტი; 13.3.4. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების (მათ შორის და არა მხოლოდ: შსს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მეტეოროლოგიური ცენტრი, სახანძრო სამსახური) ან კერძო უწყებების მიერ გაცემული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტი და მისი გამომწვევი მიზეზები; 13.3.5. კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ყველა სხვა, დამზღვევისათვის ხელმისაწვდომი საბუთი, რომელიც აუცილებელია შემთხვევის გარემოებების დასადგენად და ზიანის დასაანგარიშებლად;

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
13	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	13.3.6. გაქირავებული ქონების დაზღვევის შემთხვევაში, შესაბამისი მოქმედი ქირავნობის ხელშეკრულება (გაფორმებული წერილობითი გზით) და წინამდებარე პირობების 7.11 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია. 13.3.7. წარმოუდგინოს და გადასცეს მზღვეველს, მის ხელთ არსებული ან/და მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ყველა შესაძლო ინფორმაცია, მტკიცებულებები, რომელიც დაკავშირებულია შემთხვევასთან; 13.3.8. მესამე პირთა წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობის დადგომისას დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს წარუდგინოს გარდა ამ ქვეპუნქტებში მითითებული დოკუმენტ(ებ)ისა, მესამე პირთა ქონების დაზიანების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მკურნალობის საფასურის და/ან გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტები და ასევე დოკუმენტაცია, სადაც მკაფიოდ იკვეთება დამზღვევის პასუხისმგებლობა შემთხვევაზე; 13.3.9. მესამე პირთა წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობის რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრესა და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით - ანაზღაურების გაცემის საფუძველია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს მესაკუთრის პასუხისმგებლობის დადგომას მესამე პირთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე;

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
13	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	13.3.10. შეტყობინება დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ; 13.3.11. თუ მოსარგებლის გარდაცვალების გამო, სადაზღვევო ანაზღაურებას იღებს სხვა პირი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას (სამკვიდრო მოწმობა) და რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში; 13.3.12. საბანკო რეკვიზიტები; შენიშვნა: დამზღვევის ვალდებულებები თანაბრად ვრცელდება დაზღვეულზე და მოსარგებლებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე შესაძლებელია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული 30 კალენდარული დღის ვადა მხარეთა წერილობითი შეთანხმებით გაიზარდოს გონივრული ვადით. 13.4. მზღვეველი უფლებამოსილია: 13.4.1. დამდგარი შემთხვევების სიხშირიდან ან შემთხვევის გამომწვევი მიზეზ(ებ)იდან გამომდინარე, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში განმეორებით იმსჯელოს რისკის ხარისხზე და მოითხოვოს პრემიის გაზრდა და/ან შეწყვიტოს პოლისის მოქმედება; ამავდროულად თუ მზღვეველის გადანყვეტილებით შეთავაზებულ იქნება პრემიის გაზრდა და დამზღვევი ამგვარი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 5

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
13	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	სამუშაო დღის განმავლობაში არ დაეთანხმება შეთავაზებას, მაშინ მზღვეველი უფლებამოსილია შეწყვიტოს პოლისის მოქმედება ამ პირობებით დადგენილი წესით; 13.4.2. ზარალი ანაზღაუროს წინამდებარე პირობებით განმარტებული, პროპორციული მეთოდით ანაზღაურების პრინციპის გამოყენებით, ფრანშიზის (პოლისში ასეთის არსებობის შემთხვევაში); გადარჩენილი ქონების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გადასახდელი სადაზღვევო პრემიის გამოკლებით იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პოლისში სადაზღვევო თანხად განსაზღვრულია დაზღვევის ობიექტის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები თანხა, მზღვეველი ანაზღაურებს ზარალს იმ პროპორციით რა პროპორციაც იარსებებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, სადაზღვევო თანხასა და ქონების საბაზრო ღირებულებას შორის; 13.4.3. ქონების სრული განადგურებისას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო თანხის ფარგლებში: - ან სადაზღვევო ანაზღაურებისთვის გადარჩენილი ქონების ღირებულების გამოკლებით, მიუხედავად მისი დაზიანების ხარისხისა, ვიზუალური მდგომარეობისა და სარეალიზაციო ფასისა ან გადარჩენილი ქონების ღირებულების გამოკლების გარეშე; სადაზღვევო ანაზღაურების შემდგომ, ზიანის ტიპის მიუხედავად (იქნება ეს სრული განადგურება თუ ნაწილობრივი ზიანი) მოსთხოვოს დამზღვევს საკუთრების უფლების გადაცემა დაზიანებულ ქონებაზე;

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
13	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	13.4.4. სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის პირველივე დარღვევისას (იგულისხმება სადაზღვევო შენატანის არასრული ოდენობაც) არ ანაზღაუროს გრაფიკის დარღვევიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები, მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება, დამზღვევის მხრიდან ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. სადაზღვევო ხელშეკრულება განახლდება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის სრულად გადახდის შემდეგ. დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს არ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი შემთხვევები მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებას არ დაექვემდებარება. თუ დამზღვევი 30 (ოცდაათი) დღის ვადაში არ დაფარავს გრაფიკით გადასახდელ პრემიას, მაშინ, ამ ვადის გასვლის შემდგომ მზღვეველი, უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს სადაზღვევო პრემიის დავალიანების გადახდა. 13.4.5. დამზღვევის მიერ შეტყობინების ვადების (სატელეფონო შეტყობინება, განაცხადის წარდგენა) დარღვევის შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, დაგვიანებული განაცხადი ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
13	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	13.4.6. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მხოლოდ დამზღვევის მიერ მითითებული ინფორმაციის საფუძველზე, თუ კომპეტენტური ორგანოების მიერ შეუძლებელია შემთხვევის გამომწვევი ვითარების დადგენა და შესაბამისად ვერ ხდება სადაზღვევო რისკის დადგომის ფაქტის დადგენა, მოქმედებს პრეზუმფცია რომ სადაზღვევო შემთხვევა არ დამდგარა და სადაზღვევო ანაზღაურების საფუძველი არ წარმოშობილა 13.4.7. მიანიჭოს დამზღვევს შეღავათები ან/და გაათავისუფლოს იგი ვალდებულებისაგან, თუნდაც ამას არ ითვალისწინებდეს ან უგულებელყოფდეს წინამდებარე პირობები; 13.5 შემთხვევის დადგომის შემდეგ მზღვეველი უფლებამოსილია: 13.5.1. დაათვალიეროს ქონება; 13.5.2. ჩაატაროს ექსპერტიზა; 13.5.3. ქონების დაზიანებისას შეაკეთოს დაზიანებული ნაწილები, თუ ისინი ექვემდებარება აღდგენას; 13.5.4. შეადგინოს შეკეთების ღირებულების კალკულაცია (ნუსხა), დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე; 13.5.5. გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადანყვებილების მიღება წინამდებარე პირობების 12.1.5. გათვალისწინებულ შემთხვევაში.

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
13	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	13.6. პოლისით შეიძლება გათვალისწინებული იქნას მხარეთა განსხვავებული ან/და დამატებითი უფლება-მოვალეობებიც
14	სუბროგაციის წესი	14.1. თუ დაზღვევს შეუძლია დააფიქსიროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირთან მიმართებაში, ეს უფლება გადადის მზღვეველზე იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი აუნაზღაურებს დაზღვევს/მოსარგებლეს მიყენებულ ზიანს. დაზღვევის მიერ ასეთი მოთხოვნის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მზღვეველი თავისუფლდება შესაბამისი ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.
15	ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის (მოშლის) პირობები	15.1. დაზღვევის ვადა იწყება სადაზღვევო პოლისში მითითებული დღის 24 საათიდან და მთავრდება პოლისში მითითებული დღის 24 საათზე. პოლისი ძალაში შედის პირველი და ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდის დღის 24 საათზე თუ სადაზღვევო პოლისით სხვა ვადა არ არის დადგენილი. ამასთან, მზღვეველი არ აანაზღაურებს იმ სადაზღვევო შემთხვევებს, რომლებიც დადგება დაზღვევის მიერ პრემიის პირველი ან ერთჯერადი შესატანის გადახდამდე, ხოლო, თუ სადაზღვევო პოლისი მრავალწლიანია, როგორც პირველი, ისე ყოველი მომდევნო წლის პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე; 15.2. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია როგორც დაზღვევის ასევე მზღვეველის ინიციატივით. 15.3. დაზღვევის ინიციატივით, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას იგი ყველა

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
15	ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის (მოშლის) პირობები	შემთხვევაში ვალდებულია წერილობით მიმართოს მზღვეველს, ზეპირად ან სატელეფონო შეტყობინებით გამოხატული სურვილი არ არის დაზღვევის გაუქმების საფუძველი; 15.4. მზღვეველის ინიციატივით დაზღვევა შეიძლება შეწყდეს პრემიის გადახდის ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე. 15.5. დაზღვევა ასევე შესაძლებელია შეწყდეს მზღვეველის ინიციატივით, ერთ თვიანი ვადის დაცვით, თუ საფრთხის ზრდა ან სადაზღვევო შემთხვევების სიმრავლე მნიშვნელოვნად ზღუდავს სადაზღვევო რისკების მართვას. 15.6. მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად დაუყოვნებლივ შეწყვიტოს დაზღვევა თუ: 15.6.1. დამზღვევის/მოსარგებლის მიერ რაიმე ფორმით მოხდება მზღვეველთან არასწორი ინფორმაციის მოწოდება, გაყალბება და მზღვეველის შეცდომაში.
16	ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე სანქციები	16.2. მზღვეველის ინიციატივით დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას: 16.2.1. დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს გამოუმუშავებული პრემია; თუკი დამზღვევის მხრიდან გამოუმუშავებული პრემია დაზღვევის შეწყვეტის მომენტში უკვე გადახდილია, მზღვეველის მხრიდან აღნიშნული თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, ბრუნდება მხოლოდ გამოუმუშავებული პრემია.

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
16	ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე სანქციები	16.2.2. თუ პოლისზე ანაზღაურებულია ზარალი, მაშინ დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სრულად. თუ კი დამზღვევის მხრიდან სრული სადაზღვევო პრემია უკვე გადახდილია, მზღვეველის მხრიდან აღნიშნული თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. 16.3. დამზღვევის ინიციატივით დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას: 16.3.1. დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს გამომუშავებული პრემია; თუ კი დამზღვევის მხრიდან გამომუშავებული პრემია დაზღვევის შეწყვეტის მომენტში უკვე გადახდილია, მზღვეველის მხრიდან აღნიშნული თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. 16.3.2. მზღვეველი უფლებამოსილია დამატებით მოსთხოვოს დამზღვევს სრული სადაზღვევო პრემიის 10%-ის გადახდა; 16.3.3. თუ პოლისზე ანაზღაურებულია ზარალი, მაშინ დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სრულად. თუ კი დამზღვევის მხრიდან სრული სადაზღვევო პრემია უკვე გადახდილია, მზღვეველის მხრიდან აღნიშნული თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.
17	სადაზღვევო პრემია და გადახდის პირობები	სადაზღვევო პრემიის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
18	დავების გადაწყვეტის წესი	ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკების გზით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს.
19	კომუნიკაცია მხარეთა შორის	19.1. მზღვეველის მიერ დამზღვევს, მოსარგებლეს შეტყობინება მიეწოდება მოკლე ტექსტური შეტყობინების გზით, ელფოსტის ან საფოსტო გზავნილის მეშვეობით განაცხადში/სადაზღვევო პოლისში დამზღვევის მიერ მითითებულ რეკვიზიტებზე, ადგილსამყოფელზე. ამასთან, მზღვეველი პასუხისმგებელი არაა თუ მითითებული რეკვიზიტი არასწორია ან შეიცვალა და მას არ ეცნობა, რის გამოც შეტყობინება ვერ ან არადანიშნულებისამებრ გაიგზავნა. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება გაგზავნის მომენტიდან; 19.2. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველის მიერ შეტყობინება გაიგზავნა ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც განსხვავდება დაზღვევის განაცხადში ან პოლისში მითითებული მისამართისგან, შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად იმ დღეს, როდესაც დამზღვევმა ან დაზღვეულმა დაადასტურა მისი მიღება.
20	პერსონალურ მონაცემთა დამუშავება	20.1. მზღვეველი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაამუშაოს პერსონალური

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
20	პერსონალურ მონაცემთა დამუშავება	მონაცემები წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში და მოცულობით, ხელშეკრულების მიზნებისათვის და საჭიროების შემთხვევაში, გადასცეს მესამე პირებს. მზღვეველი ასევე უფლებამოსილია დაამუშაოს პერსონალური მონაცემები მარკეტინგული მიზნებისათვის, მათ შორის, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის - ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურების შესატავაზებლად. 20.2. მზღვეველი უფლებამოსილია, დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მხრიდან დამატებითი თანხმობის გარეშე, მიმართოს კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს და მიიღოს შემთხვევასთან დაკავშირებული დაზღვევის მიზნებისთვის საჭირო ოდენობითა და მოცულობით. 20.3. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მზღვეველისაგან მის შესახებ მონაცემთა გამოყენების შეწყვეტა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის, იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება აღნიშნული კომუნიკაცია - წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიმართვის გზით.
21	დასკვნითი დებულებები	21.1. პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია მზღვეველის შემდეგ ელ-ფოსტაზე: complaint@unison.ge ან მზღვეველის ცხელ ხაზზე შეტყობინების დატოვების გზით 0 32 2 991 991;

N	დასახელება	ქონების დაზღვევის პირობები ფიზიკური პირებისთვის
21	დასკვნითი დებულებები	21.2. წინამდებარე პირობებში ნებისმიერი ცვლილება/დამატება გათვალისწინებულია (დაზუსტებულია) სადაზღვევო პოლისში ან მხარეთა შორის გაფორმებულ შესაბამის შეთანხმებაში. მხარეთა შეთანხმება არ მოითხოვება ამ პირობებში ცვლილებების/დამატებების შესატანად, თუ აღნიშნული ცვლილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს;

N	დასახელება	ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი (ლარი)
1.	ტელევიზორი	1500
2.	სამეული (ავეჯი)	2000
3.	კომპიუტერი	1500
4.	კედლის კარადა	1500
5.	მაგიდა	1 000
6.	დივანი	1 000
7.	წიგნების თაროები	800
8.	სამზარეულოსკარადა	2 000
9.	გაბეურა /გამწოვი	2 000
10.	ჭურჭლის სარეცხი მანქანა	1 500
11.	მაცივარი	1 500
12.	სტაციონარული სარკე	1 000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარისა
13.	აუდიო ტექნიკა	1 000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარისა
14.	ფოტოაპარატი	1500
15.	ლექტოპი	1500

N	დასახელება	ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი (ლარი)
16	საძინებლის კარადა	1 500
17	საძინებლის საწოლი	1 500
18	კომბო	800
19	სარეცხი მანქანა	1 000
20	საშხაპე	1 000
21	აბაზანის სხვა ინვენტარი	2 000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარისა
22	ჭაღები და განათების	1 500 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარისა
23	სისტემები	2 000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარისა
24	ხალიჩები და ფარდები	1 000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარისა
25	მიქსერები/ ბლენდერები/	1 000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარისა
26	მიკროტალღური ღუმელები	1 000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 200 ლარისა
27	ელექტრო ხორცსაკეპი	1 000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარისა
28	მანქანები/ ყავის აპარატები	1500
29	სკამები	500
30	გათბობის მოწყობილობები	500